ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება № 02-02/148

ქ. თბილისი 20. 07. 2012

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მობილობის ვაკანსიების განსაზღვრის, ადმინისტრირების ვადებისა და წარმოსადგენი საბუთების ნუსხის დადგენის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა-გ" ქვეპუნქტების, "მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2012 წლის 13 ივლისის №534 ბრძანების, ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-6 მუხლის; ამავე უნივერსიტეტის დებულების მე-10.4 პუნქტის; ამავე უნივერსიტეტის „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" VI თავის 1 - 3 მუხლების; ამავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (1/999, 16.07.2012), ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის (1/1012, 19.07.2012), ფიზიკა-მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა (1/1002, 18.07.2012), სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის (1/1015, 19.07.2012) სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატების წარდგინებების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ვაკანსიები მობილობისათვის 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სკოლების (ფაკულტეტების), მიმართულებების/საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად:
   1.1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე)
      1.1.1. ისტორიის მიმართულებით

ა) საბაკალავრო პროგრამაზე - 10 ადგილი (3 - III სემესტრი, 2 - V სემესტრი, 5 - VII სემესტრი);

ბ) სამაგისტრო პროგრამა „კავკასიის ისტორიული დემოგრაფიაზე" - 1 ადგილი (III სემესტრი);

1.1.2. ფილოლოგიის მიმართულებით

ა) საბაკალავრო პროგრამაზე - 4 ადგილი (V სემესტრი);

ბ) სადოქტორო პროგრამა „ქართველურ ენათმეცნიერებაზე" - 1 ადგილი (V სემესტრი);

1.2. ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლაში (ფაკულტეტზე)

1.2.1. ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით (საბაკალავრო პროგრამა): 15 ადგილი (10 - III სემესტრი, 5 - V სემესტრი);

1.3. ფიზიკა-მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე)

1.3.1. მათემატიკის მიმართულებით (საბაკალავრო პროგრამა) - 20 ადგილი (10 - III სემესტრი, 10 - V სემესტრი);

1.3.2. ინფორმატიკის მიმართულებით (საბაკალავრო პროგრამა) - 10 ადგილი (5 - III სემესტრი, 5 - V სემესტრი)

1.3.3. ფიზიკის მიმართულებით (საბაკალავრო პროგრამა) - 10 ადგილი (V სემესტრი);

1.4. სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლაში (ფაკულტეტზე)

1.4.1. ფსიქოლოგიის მიმართულებით (საბაკალავრო პროგრამა) - 3 ადგილი (III სემესტრი);

1.4.2. ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება (სამაგისტრო პროგრამა) - 7 ადგილი (III სემესტრი);

1.4.3. ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგია (სადოქტორო პროგრამა) - 1 ადგილი (IV სემესტრი);

2. 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მობილობის პროცესის ადმინისტრირებისათვის განისაზღვროს შემდეგი ვადები:

2.1. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) - 2012 წლის 27 აგვისტო - 3 სექტემბერი;

2.2. გადმოსვლის მსურველთათვის კრედიტების აღიარება - 2012 წლის 4 - 7 სექტემბერი;

2.3. სტუდენტების ინფორმირება აღიარებული კრედიტების თაობაზე - 2012 წლის 10 სექტემბერი;

2.4. მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში - 2012 წლის 12 სექტემბერი;

3. დადგინდეს მობილობის წესით გადმოსვლის მსურველთა უნივერსიტეტში დასარეგისტრირებლად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა (ნოტარიალურად/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული):

3.1. განცხადება;

3.2. სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

3.3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;

3.4. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერთიფიკატის ასლი;

3.5. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებმა);

3.6. სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის ასლი ან ამონაწერი მისგან;

3.7. სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი ან ამონაწერი მისგან;

3.8. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის (არსებობის შემთხვევაში) ასლი;

4. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ფიზიკა-მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს;

5. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე